პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 ოქტომბერი, კვირა, 1988 წ.
№ 204 (9871) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედამიწის ზურგზე ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ქვეყანა და ერი, რომელსაც თავის არსებობის მანძილზე იმდენი მრავალფეროვანი ხალხური თამაშები და სპორტის ეროვნული სახეობები შეექმნას, რამდენიც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს და დაგვიტოვეს. ყველა მათგანში ჩაქსოვილია არა მარტო ფიზიკური გადარჩენისკენ სწრაფვა, არამედ ქართველი კაცის ბუნება, მისი მაღალი და რაინდული სული, კაცთმოყვარეობა.

საქართველოში ცხენოსნობის მრავალი სათამაშო სახეობის არსებობის ბევრმა უტყუარმა წყარომ მოაღწია ჩვენამდე. ცნობილია, რომ მარტო ცხენით ბურთის თამაშის ხუთი-ექვსი ნაირსახეობა შეუქმნია ჩვენს ხალხს. ახლანდელი ცხენბურთი მათი შენაერთია, ცხენბურთიც ომისშემდგომ პერიოდში, 40-იანი წლების მიწურულში ეწოდა ხელახლა აღდგენილ ამ ხალხურ თამაშს. ეს ფოტოსურათი წელსაა გადაღებული. ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში ზუგდიდში გამართულ რესპუბლიკურ ახპარეზობაზე.

თამაზ ჭიჭავას ფოტო.

ვეხმაურებით პროექტს: „2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებები“.

ესეც უნდა აისახოს

ყველასთვის კარგად ცნობილია, რა მწვავედ დგას საბინაო პრობლემა ჩვენს რესპუბლიკაში. ეს პრობლემა, ცხადია, განსახილველად წარმოდგენილ ზემოხსენებულ პროექტშიც აისახა — საბინაო პირობების გაუმჯობესებას 125 ათასი ოჯახი ელოდებაო, ნათქვამია პროექტის ძირითად დებულებებში. ბუნებრივია, რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარების და განლაგების სქემის ძირითად მიმართულებებში ამ საკითხზეც გამახვილდა ყურადღება და დაისახა მისი გადაჭრის გზები — 15 წელიწადში გათვალისწინებულია აშენდეს 35,7 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ბინათმშენებლობა მართლაც მტკივნეული და გადაუდებელი ამოცანაა, ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ, მე ვფიქრობ, პერსპექტიული გეგმა ამ მონაკვეთში უფრო მკვეთრად უნდა წარმოჩნდეს ერთი ყველასათვის კარგად ცნობილი პრობლემის გადაჭრის გზებიც: რამდენჯერ თქმულა და დაწერილა — ახალი საცხოვრებელი რაიონების მშენებლობა ნორმით დადგენილ, საკმარისი რაოდენობის სპორტული მოედნების გარეშე უპასუხისმგებლობაა, დანაშაულია მომავალი თაობის ჰარმონიული აღზრდის საქმის წინაშე. ამ უპასუხისმგებლობისა და წინდაუხედაობის შედეგია სწორედ ჩვენი დიდი ქალაქების ბევრ ასეთ საცხოვრებელ რაიონს „საძინებელ კორპუსებს“ რომ უწოდებენ. დიახ, ამ საკითხზე ყურადღების გაუმახვილებლობა დღეს არ გვეპატიება, კულტურულ-სპორტული კომპლექსები ახალი რაიონების ინფრასტრუქტურის ორგანული ნაწილი უნდა იყოს — ასეთია დროის მოთხოვნა და ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის ამსახველ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მიღების დროს.

კარლო მელაძე,
პენსიონერი.

თბილისი.

ტურნირები, ტურნირები...

ამ დღეებში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების კორტებზე ტარდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირები.

ნეშვილში (აშშ), „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ტურნირში, თბილისელმა ლეილა მესხმა (იგი აქ მესამე ნომრად იყო განთესილი) მეოთხედფინალში დაამარცხა ამერიკელი ბარბარა პოტერი — 2:6, 6:2, 6:3. ნახევარფინალში მესხი ბევერლი ბოუზსა და ჰელი ჩიოფის (ორივე — აშშ) შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ვენაში მიმდინარე გრან-პრის სერიის ტურნირის ნახევარფინალში გავიდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ანდრეი ჩესნოკოვიც. მეოთხედფინალში მან დაამარცხა ამერიკელი რიჩი რენებერგი — 6:2, 2:6, 6:3 — და ახლა ავსტრიელ ჰორსტ სკოფის შეხვდება.

გრან პრის სერიის ტურნირი მიმდინარეობს ტოკიოშიც. უიმბლდონის ორგზის ჩემპიონმა, დასავლეთგერმანელმა ბორის ბეკერმა ნახევარფინალში დაამარცხა ამერიკელი რიჩარდ მატუშევსკი — 7:6, 7:5, 6:1, ავსტრიელმა ჯონ ფიცჯერალდმა მოუგო შვედ ჩოგბურთელს ს. ედბერგს — 7:6, 7:2, 6:0.

მზრუნველი ხელი ობოლ ბავშვებს

კახპის ბავშვთა ფსიქონევროლოგიურ პანსიონატს წლეულს დაარსებიდან 50 წლისთავი უსრულდება. აქ სხვადასხვა სენით დაავადებული ბავშვები ცხოვრობენ. ბუნებისაგან დაჩაგრულ ნორჩებს დიდი მზრუნველობა და ნუგეში ესაჭიროებათ, რასაც პანსიონატის თანამშრომლები არ აკლებენ თითოეულ მათგანს. მათი თვალებით ხედავენ აღსაზრდელები ამქვეყნიურ სილამაზეს, მათი ხელისშეწყობით უხანგრძლივდებათ სიცოცხლე, მათი გულით გრძნობენ სიკეთეს და ერთგულებას.

პანსიონატის არაერთ აღსაზრდელს გაუკვლევია ცხოვრების გზა ამ მზრუნველი კერიდან. ზოგი ექიმი გახდა, ზოგი პედაგოგი, ბიბლიოთეკარი თუ ეკონომისტი.

ზაფხულში ჩვენი პანსიონატის კურსდამთავრებული თინათინ ფიფია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის III საბაზო სამედიცინო სასწავლებელში ჩაირიცხა, ნანა ლაფაძე კი თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში.

მანამდე კი 20 ივნისს ჩვენი შეფები საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები, გაერთიანების პროფკომიტეტის თავმჯდომარის ბადრი ქოჩაკიძის ხელმძღვანელობით პანსიონატს ესტუმრნენ. მათ ჩვენს აღსაზრდელებს საჩუქრად მოუტანეს 4408 მანეთის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სპორტული ინვენტარი. ესაუბრნენ, გამოკითხეს მათი სურვილების შესახებ, ითამაშეს, იმღერეს, მპთთან ერთად, ნამდვილი მეგობრული სითბო აგრძნობინეს, დახმარება აღუთქვეს ლაფაძეს და ფიფიას და მართლაც ახლა, როცა მათ სასწავლებლებს საერთო საცხოვრებელი არ აღმოაჩნდა, ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექციამ იზრუნა ამ ბავშვებზე და საერთო საცხოვრებელში ბინა მიუჩინა.

კარგია, რომ ყველა ხელმძღვანელს ისე ესმოდეს ობოლ ბავშვებზე ზრუნვა, როგორც ეს ფიზკულტურის ინსტიტუტის, სამედიცინო და სამხატვრო სასწავლებლის ხელმძღვანელებს ესმით.

ნიკოლოზ ნაზარაშვილი,
კახპის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში.

საბჭოთა ალპინისტები დჰაულაგირზე

კატმანდუ. ორი საბჭოთა მთამსვლელი, ალმაათელები იური მოისეევი და ყაზბეგ ვალიევი, ჩეხოსლოვაკიელ ზოლტან დემიანთან ერთად ავიდნენ ჰიმალაის ცნობილ „რვაათასიან“ მწვერვალ დჰაულაგირზე (8167 მ).

მათ ეს მწვერვალი ჟანგბადის बალონების გარეშე დალაშქრეს.

შეგახსენებთ, რომ ყაზბეგ ვალიევისთვის დჰაულაგირი დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმას (8848) შემდეგ მეორე „რვაათასიანი“ მწვერვალია.

ᲕᲐᲢᲩᲘ ᲮᲐᲜᲓᲐᲙᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲑᲣᲨᲘᲜ თელავში გაიმართა მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მსოფლიო პირველობის მატჩის მე-12 პარტია. თეთრი ფიგურებით თამაშობდა ნანა იოსელიანი. პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა პრეტენდენტმა. ეს პარტია დღეს უნდა დამთავრდეს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ᲑᲣᲨᲘᲜ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის.

თამაში დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით (1:0).

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია:

„ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“ — „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ 0:0
„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ — „ᲙᲐᲘᲠᲐᲢᲘ“ 3:0
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Კ. 1:0
„ᲜᲔᲤᲗᲩᲘ“ — „ᲫᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ“ 1:2
„ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ“ — „ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ“ 1:1
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ 0:0

პროფკავშირების თასი — ტორპედოელებს

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19 ოქტომბერი.

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ქუთაისი) — „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ (რუხთავი) — 4:0 (3:0).

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“: ჩხეიძე (ბაბუაძე), პაპავა, გიგიტაძე, ბზიკაძე, შეყრილაძე (ფრუიძე), შენგელია, კიკნავაძილი (ხარაბაძე), მანგაძე (ფეხტვენიძე), მეგრელაძე, დარახელია, კაჭარავა (ივანეიშვილი).

„ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“: ქორიძე, ნადირაძე, ავაქიანი, გოგალაძე, ქახრაშვილი (ხარჩილავა), ტანდილავი, ტ. კაპანაძე, მეტრეველი (ლობანაძე), ა. კაპანაძე (შეყილაძე), ვახაძე, უგრეხელიძე.

მსაჯი მ. დარჩია (თბილისი).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ პროფკავშირების ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება 1981 წლიდან ტრადიციულად ტარდება. წლევანდელი გათამაშების ფინალში ჩვენი რესპუბლიკის გუნდები „ტორპედო“ და „მეტალურგი“ გავიდნენ, მათ კარგად ჩაატარეს წლევანდელი სეზონი II ლიგის IX ზონაში, ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ვადამდე ადრე გაიმარჯვეს და I ლიგაში გადასასვლელ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, რაც იმედით განაწყობს ამ ტრადიციული გუნდის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს. რუსთაველებმა მესამე ადგილი დიკავეს და საკმაოდ პერსპექტიული კოლექტივის სახელიც დაიმკვიდრეს.

ამ გუნდების პირველი ფინალური შეხვედრა 26 აგვისტოს რუსთავში ჩატარდა. მაშინ დარასელიას გატანილმა ბურთმა გამარჯვება ტორპედოელებს მოუტანა.

განმეორებითი ფინალური თამაში ქუთაისელ ფეხბურთელთა სრული უპირატესობით წარიმართა, ისინი მობილიზებით, მაღალ ტემპში თამაშობდნენ. ნახევარმცველები საფუძვლიანად დაეუფლნენ მოედნის ცენტრს და საკმაოდ ძლიერი ქარის მიუხედავად, გრძელი, ზუსტი გადაცემებით სახიფათო პოზიციაში გაჰყავდათ თავდამსხმელები, რომლებიც ხშირად უგებდნენ ბრძოლას „მეტალურგის“ მცველებს და ქორიძის კართან ზედიზედ შეიქმნა საგოლე მომენტები, ანგარიშიც უკვე მე-5 წუთზე გაიხსნა, როცა მეკარის პირისპირ გასულმა კაჭარავამ წამით დაასწრო მას — 1:0, ხუთიოდე წუთის შემდეგ მასპინძელთა საუკეთესო ბომბარდირმა მეგრელაძემ მეორედ აიღო სტუმართა კარი, 36-ე წუთზე კი კაჭარავამ ანგარიში სამამდე გაზარდა.

შეიძლება ითქვას, ფინალური მატჩის ბედი გადწყვეტილი იყო, მაგრამ ტორპედოელებმა აქტიურად წარმართეს მეორე ტაიმიც, თუმცა, ამჯერად ერთი ბურთის გატანა შეძლეს დარასელიას ეფექტური დრიბლინგის შემდეგ.

4:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა ქუთაისის „ტორპედომ“ და სსრ კავშირის პროფკავშირების ფეხბურთის ფედერაციის თასი მოიპოვა.

ზონაში გამარჯვება, საკავშირო თასის გათამაშებაში უმაღლეს ლიგის გუნდებთან შესანიშნავად ჩატარებული მატჩები და მეოთხედფინალში გასვლა, პროფკავშირების თასის მოპოვება, იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ გუნდი სწორ გზაზე დგას, იგი კრიზისის დაძლევის პროცესშია. ვფიქრობთ, ტორპედოელები კარგი განწყობით, საბრძოლო შემართებით ხვდებიან სეზონის მთავარ მატჩებს — I ლიგაში გადასასვლელ ტურნირს. მანამდე კი ამ დღეებში შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების ფინალში ზახარაძის „მერცხალს“ შეხვდებიან.

• • •

„მეტალურგთან“ მატჩის დამთავრების შემდეგ მოეწყო პროფკავშირთა თასის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი. ტორპედოელებს წარმატება მიულოცა და თასი გადასცა პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ფეხბურთის განყოფილების უფროსმა, რსფსრ-ს დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. გროხოვსკიმ. გუნდის მწვრთნელებს და ფეხბურთელებს გადაეცათ ვიმპელები და პირველი ხარისხის სიგელები, ხოლო მეტალურგები II ხარისხის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

, თამაზ ხარაბაძე,
(„ლელოს“ ხაკ. კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილავთ პროექტს

ყველამ ერთად ვიფიქროთ

წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ, როგორც ცნობილია, აბიტურიენტთათვის ფიზიკურ მომზადებაში ერთგვარი შემოწმება ჩატარდა. უნდა ითქვას, რომ ფიზმომზადებაში გამოცდებმა საკმაოდ ორგანიზებულად და ობიექტურად ჩაიარა. მან საფუძველი ჩაუყარა შესანიშნავ და პერსპექტიულ საქმეს. ყველანი ვიყავით იმის მოწმენი, თუ როგორ გამოცოცხლდა მთელი რესპუბლიკის სპორტული ბაზები და არა მხოლოდ ისინი... სკვერები, პარკები, სანაპიროები მოვარჯიშე აბიტურიენტებით გაივსო. ყველა ცდილობდა ფიზმომზადებაში ჩათვლის მიღებას და მისაღებ გამოცდებზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობის მიღწევას, რასაც ეს ჩათვლა ჰპირდებოდა მათ.

მისაღები გამოცდების დამთავრების შემდეგ სპორტის მუშაკებმა და სახალხო განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამმართველომ შეისწავლეს და ანალიზი გაუკეთეს იმას, თუ რა მოგვცა ამ საახლემ.

დავუშვათ, ვინც წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩათვალა, რომ ფიზიკური ვარჯიშები მას აღარ ჭირდება, ეს კიდევ „გასაგებია“. მაგრამ, საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებს, იმათ რაღა დაემართათ, ვისაც ეს გამოცდები მომავალ ზაფხულში ელისო. ისინი ფიზიკურ მომზადებაში რატომ აქედანვე არ იჭერენ თადარიგს, ისევე, როგორც, ვთქვათ, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში?..

ასეთი პასიურობა იოლი ასახსნელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, აბიტურიენტის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას ფიზმომზადებაში მიღებულ ჩათვლას რაიმე გავლენა რომ მოეხდინოს საბოლოო შეფეგზე.

დიახ, ფიზმომზადებას არც ერთი აბიტურიენტისთვის პრაქტიკულად არავითარი პრივილეგია არ მიუცია. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ფიზმომზადების ჩათვლამდე სანამ მიდგებოდა საქმე, მოქმედება სხვა უამრავი პრივილეგია (სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, სასკოლო ოლიმპიადებში გამარჯვება, სკოლის წარჩინებით დამთავრება, მაპროფილებელ საგნებში მიღებული მაღალი ნიშნები, პროფტექნიკუმის ფრიადის დიპლომები, სტაჟი...). ასე რომ, ფიზმომზადების ჩათვლამდე საქმე, ვიმეორებ, არც ერთხელ არ მისულა.

ჩემი წინადადებაა: კიდევ უფრო დაიხვეწოს ფიზიკურ მომზადებაში ჩასაბარებელი ნორმატივები. ეს ნორმატივები ძირითადად უნდა გამომდინარეობდნენ საშუალო სკოლებში ფიზკულტურის საგნის სწავლების პროგრამიდან.

მომავალში ფიზიკურ მომზადებაში უბრალო ჩათვლა უნდა შეიცვალოს დიფერენციალური ჩათვლით ან ნიშნებით (ნორმატივების ჩაბარების მიხედვით).

იმ აბიტურიენტებს, რომელნიც ფიზმომზადებაში მიიღებენ ჩათვლას ან ნიშანს ფრიადზე, დაემატოთ 1 ქულა, ოთხიანზე — 0,5 ქულა, ხოლო სამიანზე — 0,25 ქულა. ეს შეფასება, როგორც გამსვლელი ქულები, აუცილებლად შევიდეს მისაღები გამოცდების საგამოცდო ფურცლებში.

ვფიქრობ, დღემდე მოქმედ სხვა უპირატესობებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, ფიზიკურად როგორი განვითარებულია ჩვენი ახალგაზრდობა. განა ნათელი არაა ფიზიკურად სუსტ სპეციალისტზე მეტის გაკეთება რომ ძალუძს ჯანსაღ ადამიანს? ამიტომაც ვფიქრობ ჯერ ფიზმომზადების შეფასებას უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა, შემდეგ კი თუ საჭირო გახდება ძალაში შევიდეს სხვა უპირატესობები. (მხედველობაში არა მყავს ჯანმრთელობის მიზეზით ფიზკულტურიდან განთავისუფლებული ახალგაზრდები, მათთვის დებულებაში ცალკე პუნქტი უნდა შევიდეს).

ჩემი აზრით, საკითხის ასე დაყენება წინგადადგმული ნაბიჯია იმ მიზნისკენ, რისთვისაც საერთოდ ეს საქმე წამოვიწყეთ, საქმე კი პერსპექტივაში ძალიან დიდი და კეთილშობილურია, მე ვიტყოდი — ეროვნულიც.

ალბათ ჩემს მოსაზრებას ოპონენტები გამოუჩნდებიან, მაგრამ, მოდით, ყველამ ერთად ვიფიქროთ, ვიკამათოთ, ავწონ-დავწონოთ.

ლევან ჩხიკვაძე,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზალზრდის კათედრის გამგე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ქართველი ტანმოვარჯიშე — მოსკოვის ჩემპიონი

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ბოლო წლებში — მოსკოვში იმართება ვაჟ ვეტერან ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, რომელსაც ოფიციალურად მოსკოვის ღია პირველობა ეწოდება.

წლევანდელ გათამაშებაში 23 მონაწილეს შორის იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი — სპორტის ოსტატი, 36 წლის კოტე გულისაშვილი. ქართველმა ტანმოვარჯიშემ საუკეთესოდ იასპარეზა და აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა. მრავალჭიდში მისი შედეგია 54,6 ქულა. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ვეტერანმა გარდა აბსოლუტური გამარჯვებისა, კიდევ სამი სახეობა მოიგო ექვსიდან.

დასასრულს დავძენთ, რომ კ. გულისაშვილი გასულ წელს ანალოგიურ ტურნირში მესამე პრიზიორი გახდა, ჩემპიონობა კი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვლადიმერ ტუკუევმა მოიპოვა.

სურათზე: კოტე გულისაშვილი.

IV ახალგაზრდული სპორტული თამაშები

წინ რესპუბლიკური პირველობაა

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში გამართულ პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რაისაბჭოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში, 1972-73 წლებში დაბადებული ორმოცდაათამდე ჭაბუკი გამოვიდა. შეჯიბრების მიზანი იყო რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობისათვის კანდიდატების შერჩევა და რაიონის საუიდაო ცენტრებში (არბოშიკი, ჯაფარიძე, ზემო ქედი) სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის წლიური შედეგების შეჯამება.

ყველაზე კარგად იასპარეზეს ჯაფარიძელმა სპორტსმენებმა, სხვადასხვა წონაში ჩემპიონები გახდნენ ბესიკ ჭუჭულაშვილი, ჰამლეტ ყოჩიაშვილი, გიორგი სულაშვილი, ვასილ უზუნაშვილი, იოსებ უთრუთაშვილი, გოჩა მაზანაშვილი, გელა გოგილაშვილი. მათ გარდა პირველი ადგილები დაიკავეს ზურაბ გაროზაშვილმა (ზემო ქედი), ვახტანგ ზუბიაშვილმა (არბოშიკი), ჯამბულ ჩალახეშაშვილმა (ოზაანი). გუნდურ პირველ ადგილზე გავიდნენ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მოჭიდავეები (მწვრთნელი ვაჟა ანდრიაშვილი), მეორე იყო ზემო ქედის (ელგუჯა ლალიაშვილი), მესამე — არბოშიკის (ვაჟა გონაშვილი) კოლმეურნეობების წარმომადგენლები. გამარჯვებულები მალე ონში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე იასპარეზებენ.

ალექსანდრე პაპოშვილი.

„ბაზბურთი“, „კეტბურთი“, „როკბურთი“, „ბეისბოლი“...

შევარჩიოთ სწორად და აუჩქარებლად

უურადღებით ვადევნებ თვალს თქვენი გაზეთის ფურცლებზე მიმდინარე დისკუსიას ბეისბოლის ქართული შესატყვისის შერჩევის თაობაზე.

25 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ვახტანგ გალოგრეს წერილი სათაურით „რას ვერჩით „ბეისბოლს“? მე არ ვეთანხმები პატივცემულ მუსიკოსს. მართალია, მე არ მაქვს კონკრეტული წინადადება, თუ რა ვუწოდოთ ამ თამაშს, მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია მისი ქართული შესატყვისის მოძებნა (გნებავთ, „ბაზბურთი“, გნებავთ, „კეტბურთი“).

პატივცემული ვახტანგი წერს, განა უხერხული არ იქნება, მაგალითად, ასეთი ფრაზა — „ამერიკელი ბაზბურთელები სსრ კავშირში“. მართლაც, პირველ ხანებში შეიძლება უურს ეხამუშოს ასეთი გამოთქმა, მაგრამ ხომ შევეჩვიეთ „ინგლისელ ფეხბურთელებს“ ან „ამერიკელ კალათბურთელებს“ და ა. შ.

ჩემი აზრით, რაც უნდა გვეუხერხულოს პირველ ხანებში, აუცილებელია ბეისბოლს ქართული შესატყვისი მოვუძებნოთ. დარწმუნებული ვარ, რომელი სიტყვაც არ უნდა შევარჩიოთ, ის მალე გაიდგამს ფესვებს ჩვენს სალაპარაკო ენაში, ოღონდ შევარჩიოთ სწორად და აუჩქარებლად.

ლადო ლომინაძე.
ქ. მახარაძე.

იქნებ „როკბურთი“ სჯობს?

თვალყურს ვადევნებ წერილებს, რომელთა ავტორები მსჯელობენ ბეისბოლის ქართული შესატყვისის თაობაზე. წავიკითხე ზ. რონინშვილის წერილიც, რომელიც მხარს უჭერს „ბაზბურთს“. ჩემი აზრით, ეს სახელი არ შეესატყვისება ბეისბოლს — სასურველია, მოიძებნოს უფრო ტევადი, ამ სახეობისთვის უფრო შესაფერისი სიტყვა, არ ვეთანხმები გოჩა შანიძესაც, რომელიც „კეტბურთს“ გვთავაზობს — ვფიქრობ, ეს სახელი ზედმეტად მყვირალაა. მე მიმაჩნია, რომ ბეისბოლს ქართულად „როკბურთი“ უნდა ეწოდოს. „როკი“ ქართული სიტყვაა და ნიშნავს გათლილ, გასუფთავებულ ხის ტოტს. მე მგონი, „როკბურთი“ უფრო ზუსტად და სრულად ასახავს ბეისბოლის არსს და ისევე დამკვიდრდება ქართულ ენაში, როგორც „ფეხბურთი“, „კალათბურთი“, „ხელბურთი“, „ჩოგბურთი“ და სხვა.

ვაჟა კაშკაშიძე.
ლაგოდეხის რაიონი, სოფელი ვარდისუბანი.



მოდით, ნუ შეჩქარებთ

უურადღებით ვადევნებ თვალს დისკუსიას იმის შესახებ, რა უნდა დაერქვას ჩვენს ქვეყანაში ახლახან დანერგილ სპორტის სახეობას — ბეისბოლს.

დავიწყოთ იმით, რომ ბეისბოლი საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოში, ოფიციალური მონაცემებით, სპორტის ამ სახეობას მისდევს 150 მილიონზე მეტი სპორტსმენი, ბეისბოლის საერთაშორისო ასოციაციაში 70-მდე ქვეყანაა გაერთიანებული. აქედან მხოლოდ ერთ ქვეყანაში — ჰოლანდიაში ეძახიან მას „ჰანკბოლს“. მაშ, რით ვართ ჩვენ, ქართველები, ჰოლანდიელებზე ნაკლები? —

ბეისბოლი ერთ-ერთი უძველესი სპორტის სათამაშო სახეობაა, მისი წესები ჯერ კიდევ 1839 წელს შეიქმნა. ამ თამაშს დიდი წარსული და ტრადიციები აქვს. უკეთესი ხომ არ იქნება, არ ავჩქარდეთ, ცოტა მოვითმინოთ და უკეთ გავიცნოთ ის, რის „მონათვლასაც“ ვაპირებთ.

ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში, სადაც ბეისბოლს ეროვნულ სახეობად თვლიან, თავიდანვე სცადეს მისი „გაესპანურება“ და „პელოტა“ (ბურთი — ესპ.) უწოდეს. სხვა ტერმინების „გადმოღებაც“ სცადეს — „პიტჩერს“ (მტყორცნელს) — „ლანსადორი“, „ქეჩერს“ (დამჭერს) — „რესეპტორი“ დაარქვეს და ა. შ. მაგრამ 100 წელზე მეტია ეს ესპანური შესატყვისები მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაციებში, ისიც ძალზე იშვიათად ჩნდება. ამ სპორტით „დაავადებული“ ადამიანისთვის „ბეისბოლი“ ყოველთვის ბეისბოლად რჩებოდა. ჩემი აზრით, არც თუ ისე ცუდი სახელია, ბგერათა ჰარმონიაც სასიამოვნოა და არც ყურს ხვდება სპორტის იმ სახეობების სახელებზე უფრო უხეშად, რომლებსაც დღემდე არ ეღირსათ გაქართულება. ასეთებია: რეგბი, ძიუდო, ბიატლონი, ტრიატლონი, ფრისტაილი, ბობსლეი, სასტენდო სროლა, ფიგურული სრიალი, დელტაპლანერიზმი, ავიომოდელიზმი, მოტოკროსი, ავტორალი... კიდევ რამდენი ჩამოვთვალო? სხვათა შორის, რუს ჰოკეისტებს სპორტის ამ სახეობის არარუსულმა სახელმა სრულიადაც ვერ შეუშალა ხელი იმაში, რომ მისი გაცნობიდან 9 წლის შემდეგ მსოფლიოში უძლიერესნი გამხდარიყვნენ და ესახელებინათ თავიანთი ქვეყანა.

ახა, ჰკითხეთ იმ ქართველ სპორტსმენებს, რომლებიც უკვე ეზიარნენ ბეისბოლის ანბანს, სურთ თუ არა იყვნენ კარგი „ტაფელბურთელები“? ან პატარა ბიჭუნას ვკითხოთ, უნდა თუ არა მეცადინეობა „კეტბურთის“ სექციაში? ჩვენი აზრით „ბეისბოლი“ დროებით ბეისბოლად უნდა დავტოვოთ — ეს არც კაპრიზია და არც სხვათა წამბაძველობა.

ერთი სიტყვით, ბეისბოლი ჩვენთვის ჯერ კიდევ კეთილი სტუმარია, სტუმარს კი, მოგეხსენებათ კარგი დახვედრა უნდა — ასეთია ქართული ადათი. იმ ცუდი დიასახლისივით არ დაგვემართოს, სტუმარს კარებშივე რომ შეაგებებს: „იატაკი არ დამისვარო, ფეხები კარგად გაიწმინდეო“.

გელა ჩიხრაძე.
სსრ კავშირის ბეისბოლისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, თბილისის „ივერიის“ უფროსი მწვრთნელი.

ნამდვილად საჭიროა

ძალიან გამახარა იმ აზრმა, რომ ბეისბოლს ქართული შესატყვისი უნდა მოვუძებნოთ, ვფიქრობ, ეს ნამდვილად საჭიროა. ვეთანხმები გოჩა შანიძეს, რომელიც „კეტბურთს“ გვთავაზობს.

თენგიზ აფხაზავა,
თბილისი.

უურადღებას არავინ გვაქცევს

ძვირფასო რედაქციავ! მეჯვრისხევი საკმაოდ დიდი სოფელია. ცენტრში არის სპორტული მოედანი, მაგრამ, ცხადია, ამ მოედნით მთელი სოფლის ახალგაზრდობა ვერ ისარგებლებს, მით უმეტეს მეჯუდისპირის ბავშვები. მეჯუდისპირი საკმაოდ დაშორებულია ცენტრიდან. ჩვენ გვქონდა საკუთარი სპორტული მოედანი, რომელიც 16 წლის წინათ მოეწყო, მაგრამ მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მოედანს ყოველ წელიწადს ავწროებენ, ხოლო რაც დარჩა, ისიც კარგა ხანია ხანაგვად გადაქცეულ. მეჯუდისპირის კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი არასოდეს დაინტერესებულა ჩვენი მოედნის ბედით. ამის გამო მივმართეთ სოფლის ხელმძღვანელობას, მაგრამ ამაოდ.

ძვირფასო რედაქციავ! იქნებ თქვენ მაინც მოგვეხმაროთ, თორემ ჩვენთვის, როგორც ჩანს, არავის სცალია.

მ. მგელიაშვილი, გ. მახათაძე, შ. უზნაძე, გ. ბოგატიშვილი და სხვები.

ოლიმპიური ფემოდგომის თექვსმეტი გაელვება



ეხლოვდებოდა ოლიმპიადის ფინიში. თამაშების დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გახდა ცნობილი, რომ საბჭოთა სპორტულ დელეგაციას სხვა ქვეყნების წარმომადგენლები სერიოზულ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდნენ პირველობისთვის ბრძოლაში. ჩვენი სპეციალისტები დაბეჯითებით ამბობდნენ, კიდევ ვის რომელ სახეობაში და რამდენი მედლის მოპოვება შეეძლო. თანამედროვე სპორტულმა მოძრაობამ თავისი განვითარების ახალ ეტაპზე შედეგების წინასწარი დაგეგმვის პროგრესითაც დიდად წაიწია წინ.

იმ სათვალავში, რომელიც ჩვენი ათლეტების ოქროს ფონდს უნდა შემატებოდა, ლერი ხაბელოვის მედალსაც ვარაუდობდნენ. ჩვენს ფალავანს საამისოდ ყველა მონაცემები ჰქონდა, მისი მომრევი შარშან და წელს ნამდვილად არავინ იყო დედამიწ[illegible] ზურგზე, მაგრამ... კაცი ბჭობდაო, ხომ გაგიგიათ...

ოლიმპიურ სოფელში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, 27 სექტემბერს, საღამოს დანაღვლიანებული და შეშფოთებული მოვიდა ლადო მესტვირიშვილი — ხაბელოვის მწვრთნელი. იმ საღამოს, ნაკრების ერთერთმა ხელმძღვანელმა თურმე ხალიჩაზე რამდენიმე ილეთი გაამეორებინა ლერის. მოხდა მოულოდნელი [illegible] — ის იყო ვარჯიშს ამთავრებდნენ, რომ ბოლო ილეთზე ლერიმ უცებ ბარძაყთან ტკივილი იგრძნო — ეგონათ კუნთი დაეჭიმა, მაგრამ თურმე უარესი მოხდა — კუნთი გაწყდა. ექიმების აქტიური ჩარევა, მხედველობაში გვაქვს ტკივილის გამაყუჩებელი საშუალებების გამოყენება, არ შეიძლებოდა დოპინგკონტროლზე მოსალოდნელი უსიამოვნების გამო. ლერიმ ტრავმირებულმა ჩაატარა წინასწარი შეხვედრები, ფინალამდე დაუმარცხებლად იარა, ყველა შეხვედრა მოიგო, ყველა — გარდა მთავარისა, სადაც ჩემპიონის ოქროს მედლის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ფინალური ასპარეზობის წინ ლერის ბარძაყი მთლად დაულურჯდა (ტრავმას დაემატა სისხლჩაქცევები), სილურჯე ზედატანზეც გადავიდა. რა უნდა ეღონა? ფინალში გამოსვლაზე უარს ხომ არ იტყოდა. ჩვენი მწვრთნელები ლერის არწმუნებდნენ, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის დავაში რუმინელ ვასილე პუშკაშუს იგი „ცალი ფეხითაც“ დაამარცხებდა. ეს მხოლოდ ნუგეში იყო, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ოლიმპიადა ოლიმპიადაა და აქ ყველა თავგამოდებით, თავდადებით იბრძვის, მით უმეტეს, ფინალში. უღიმღამოდ, შეიძლება ითქვას, უღონოდ და უხალისოდ, მისთვის უჩვეულო სტილში ჩაატარა ლერიმ ეს გადამწყვეტი ორთაბრძოლა. თითქმის ბოლომდე გაუძლო, შეხვედრის დამთავრებამდეც თითქმის აღარაფერი რჩებოდა და სწორედ ამ დროს აიღო მეტოქემ ქულა. ლერის ხვედრი ამ თამაშებში ვერცხლის მედალი ყოფილა. ეს იყო ქვეყნის ნაკრებში საქართველოს წარგზავნილთა მერვე მედალი.

ლერიმ დაამთავრა შეჯიბრება და ახლა ბრძოლაში ჩაებნენ ყველაზე პრესტიჟული წონის, 130 კგ-ის მოჰიდავეები. აქ დავით გობეჯიშვილი იცავდა საბჭოთა ნაკრები გუნდის ღირსებას. როგორ გრძნობს თავს დათო? — ვკითხეთ წინა საღამოს ვლადიმერ მესტვირიშვილს.

— დათო ახლა ისეთ ფორმაშია, როგორც არასდროს, რომ მიუშვა, მუხას მოთხრისო — დაგვამშვიდა. ყველა ორთაბრძოლა მართლაც ლაღად და ოსტატურად ჩაატარა ჩვენმა მოჰიდავემ. თავად განსაჯეთ: ფინალამდე არც ერთი ქულა არ მიუცია მეტოქისთვის, ხუთი რჩეული ფალავანი დატოვა „მშრალზე“, თავად კი მათგან... 48 ქულა ჩაიწერა. არ დაგავიწყდეთ, 48 ქულა — მძიმე წონაში!

მაყურებელთან „კონტაქტი“, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმათთან კავშირი, ვინც ხალიჩის მიღმა იდგა და გულშემატკივრობდა დათოს ბრძოლის პროცესშიც არ დაუკარგავს. დროდადრო გამოხედავდა და ხელით აჩვენებდა — საქმე კარგად მიდისო. ასეთი რამ იშვიათად ხდება, მით უმეტეს, როცა საქმე გაქვს ისეთ მრისხანე მეტოქესთან, როგორიც თვით ბრიუს ბაუმჰარტნერია — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში. ეტყობა დათო ღრმად იყო დაჯერებული თავის უპირატესობაში.

ამერიკელმა ფალავანმა პირველმა მიულოცა ოლიმპიური ჩემპიონობა თავის ღირსეულ მეტოქეს.

ესეც მეცხრე მედალი, ოქროსი — მეოთხე!

თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობას სანმუს შესანიშნავი სპორტული დარბაზი მასპინძლობდა.

...სეულის ოლიმპიურმა თამაშებმა მხოლოდ იმით როდი მიიპყრო ყურადღება, რომ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ (მხედველობაში მხოლოდ სპორტი არ გვაქვს) თავყრილობად იქცა, მსგავსი რამ ჯერ არ ახსოვს ისტორიას. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ სეულის თამაშები შემობრუნების ღერძად იქცა ოლიმპიურ მოძრაობაში.

და მაინც, 1988 წლის ოლიმპიადამ მხოლოდ ამით როდი დაიმსახურა საერთო ყურადღება და ინტერესი. იგი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დემონსტრირების სარბიელიც გახდა. აქაც დიდია ოლიმპიზმის დამსახურება (ისევ და ისევ მხოლოდ სპორტი არ გვაქვს მხედველობაში). ანდა არქიტექტურა ავიღოთ. სეულის სპორტული ბაზები თავისთავადაა ტექნიკური პროგრესის უკანასკნელი მიღწევის ნიმუში. ეს სუპერგიგანტები ათმილიონიანი ქალაქის ნამდვილ მშვენებად იქცნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მხოლოდ ოლიმპიური თამაშების ძეგლებად არ დარჩებიან. ამ ხალხმრავალი ქალაქის მოსახლეობას მართლაც ჩინებული შესაძლებლობები მიეცათ ეზიარონ მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სიკეთეს, ხოლო რაც შეეხება დიდ სპორტს, უკეთესს რას ინატრებს ადამიანი.

აქვე ვიტყვით, რომ ოლიმპიური სპორტული ბაზების მოსახლეობის სამსახურში ჩაყენებისათვის თამაშების დღეებშივე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. შესანიშნავად იყო მოფიქრებული — ისინი, ვინც ამ ბაზებზე მუშაობდნენ (ხელფასით თუ უსასყიდლოდ), დილაადრიან თავად ვარჯიშობდნენ. ამით სტუმრებსაც და თავიანთ ხალხსაც აჩვენებდნენ, რომ ეს გრანდიოზული სპორტული ობიექტები უქმად არასდროს იქნებიან. გავიხსენოთ: სეულის სტუდენტობა და სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლები თავის დროზე პროტესტს გამოთქვამდნენ ასეთი ძვირადღირებული სპორტული ბაზების მშენებლობის გამო და არცთუ უსაფუძვლოდ — საბინაო პრობლემა დღემდე გადაუჭრელია მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში.

ყველაზე თვალსაჩინო ოლიმპიური ობიექტი, რომელიც აიგო თამაშებისთვის, არის სეულის სპორტული კომპლექსი. იგი 170 მილიონი დოლარი დაჯდა. კომპლექსი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდინარე ხანგანის სანაპიროზე შდებარეობს (ეს მდინარე ყოფს ქალაქს ორ ნაწილად) და 545 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიას მოიცავს. ოლიმპიადის დღეებში სპორტსმენების განკარგულებაში იყო შეჯიბრებების ჩასატარებელი 34 და საწვრთნო-სავარჯიშო 72 სპორტული ობიექტი, აგრეთვე მთავარი პრესცენტრი, ოლიმპიური სოფელი, საერთაშორისო ტელერადიოცენტრი, და ა. შ.

ქალაქის მართლაც თავისებური მშვენებაა ოლიმპიური სტადიონი, რომელიც 13 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს მოიცავს. სტადიონი იტევს 100 ათას მაყურებელს. ეს სტადიონი იყო თამაშების ეპიცენტრი, აქვე ჩატარდა ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი.

სეულის სპორტული კომპლექსიდან 4 კმ-ით არის დაშორებული კიდევ ერთი უნიკალური სპორტული კერა — ოლიმპიური პარკი. პარკის ვეებერთელა ტერიტორიაზეა განლაგებული ველოტრეკი, ტანვარჯიშის დარბაზები, ცურვისა და წყალში ხტომის დახურული აუზები, აგრეთვე ჩოგბურთის კორტები 15000 მაყურებლისთვის. პარკში ისტორიული ძეგლებიცაა. განსაკუთრებით საყურადღებოა მონჩონის უძველესი ციხე-სიმაგრე. იმავე ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილზე დგას მარმარილოს დაფა, რომელზედაც ამოკვეთილია ყველა კორეელი ოლიმპიელის გვარი. პარკშივეა აღმართული ოლიმპიური კომპიუტერების ცენტრი საგამოფენო, საკონფერენციო და საბანკეტო დარბაზებით, მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციული სათავსოებით. სეულის სპორტულმა ბაზებმა პირველი გამოცდა მაშინ ჩააბარეს, როცა აქ გაიმართა აზიური თამაშები. სხვათა შორის, ამ თამაშებზე 11 მსოფლიო რეკორდი დამყარდა. მასპინძლებმა ჯერ კიდევ მაშინ დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, შეიძლება ითქვას, სანიმუშოდ ჩაატარონ ჩვენი პლანეტის ყველაზე უდიდესი ასპარეზობა — ოლიმპიური თამაშები.



ოლიმპიურ ბაზებზე ყოველ დილით ვარჯიშობდნენ თამაშების მასპინძლები.



ოლიმპიური პარკის ერთი კუთხე.

სპორტულმა სამყარომ აღმოაჩინა ახალი ქვეყანა, სტუმართმოყვარე ხალხი, და, რაღა თქმა უნდა, უმშვენიერესი თანამედროვე სპორტული ცენტრი. ოლიმპიადის მასპინძლები ვარაუდობენ, რომ ყველაფერი ამ თამაშებით არ დამთავრებულა, პირიქით, ამით ყველაფერი მხოლოდ დაიწყო. ოლიმპიადამ თავისი საქმე გააკეთა, ახლა ჯერი მიდგა სპორტის ცალკეული სახეობების საერთაშორისო ფედერაციებზე. სეულში ნებისმიერი შეჯიბრება შეიძლება დაიგეგმოს და ჩატარდეს, გნებავთ აზიის, გნებავთ მსოფლიო. ასე რომ, სამხრეთ კორეას უცხო ქვეყნებთან სპორტული ურთიერთობის გაფართოების უდიდესი პერსპექტივა შეექმნა.

სპორტის მეშვეობით კი თვით სახელმწიფო გადის მსოფლიო ასპარეზზე.

თენგიზ გაჩეჩილაძე,
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.

სეული — თბილისი.

ავტორის ფოტოები.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 198, 199, 200, 201, 203.

I ლიგა

21 ოქტომბერს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების გამოტოვებული მატჩები.

დონის როსტოვის არმიელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ცსკა. მატჩი დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით — 4:3.

„დინამო“ (ბათუმი) — „ბურია“ (ლანჩხუთი) 1:1 (1:1).

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 21 ოქტომბერი.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდაძე, ჩიქოვანი, ჯოხაძე, მ. მახარაძე, აკოფიანი (ათუაშვილი), ბიგვავა, ყვანია, მეშკოვი.

„ბურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, ბონდარუკი, კაბანაშვილი, პარხომენკო, ცომაია, ყორდანია, ხლუსი, გოგრიჭიანი, ფრიდონაშვილი (ცორლალიძე), მესხი (იავორსკი).

მსაჯი ვ. ბარდტელი (კიშინიოვი). გაფრთხილეს ტყებუჩავა, ყორდანია, მეშკოვი.

30-ე ტურიდან გადმოტანილ ამ მატჩს ბათუმში ერთობ არასახარბიელო ამინდი დაესწრო, წვიმდა გადაუღებლად, სათამაშო მინდორი წყლის გუბეებით დაიფარა, ფეხბურთელებს რთულ პირობებში მოუხდათ თამაში. მიუხედავად ამისა, ბრძოლა იყო შეუპოვარი, დაძაბული. სატურნირო მდგომარეობა ორივე გუნდს აიძულებდა გამარჯვებისთვის ეფიქრათ, მასპინძლებმაც და სტუმრებმაც ყველაფერი გააკეთეს ამ მიზნის მისაღწევად.

მატჩის დასაწყისში ყორდანიას კარგი შესაძლებლობა შეექმნა დინამოელთა კართან, მაგრამ ეს მომენტი გამოყენებული არ იქნა. შემდეგ თამაში გათანაბრდა, მაგრამ მე-20 წუთზე ინდივიდუალური თამაშით თავი გამოიჩინა მესხმა, მან მოატყუა მეტოქე მცველები, კარიდან გამოიტყუა მეკარეც და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

ბათუმელებმა გაშვებულ გოლს გაძლიერებული კონტრშეტევით უპასუხეს, ანგარიშის გათანაბრების საუკეთესო შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ჯოხაძემ, მერე კი, 33-ე წუთზე, გარღვევაზე გავიდა მეშკოვი, მიაწოდა ყვანიას, რომელმაც საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

შესვენების შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა ლანჩხუთელებს ჰქონდათ, მაგრამ კარგად ითამაშეს „დინამოს“ მცველებმა და მეკარე ბალაძემ. საინტერესო მატჩი, რომელიც საუკეთესოდ ჩაატარა კიშინიოველმა არბიტრმა, ფრედ დამთავრდა.

ბიორგი მურვანიძე.
(ტელეფონით „ლელოს“ კორ.).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი“	38	22	10	6	69-38	54
ცსკა	38	21	9	8	59-32	51
„როტორი“	38	22	6	10	66-33	50
„გურია“	38	21	7	10	60-34	49
„ფახთაქ.“	38	19	10	9	56-32	48
„დინ.“ სტ.	38	17	10	11	54-40	44
ასკ „კარპ.“	38	17	8	13	48-27	42
„დაუგავა“	38	17	6	15	52-48	40
ასკ რ.	38	14	10	14	52-58	38
„ტავრია“	39	13	12	14	33-41	38
„გეოლოგი“	38	15	5	18	41-51	35
„კოტაიკი“	39	14	7	18	52-76	35
„სპარტაკი“	38	13	8	17	49-54	34
„როსტს.“	38	13	8	17	55-63	34
„შინიკი“	39	13	8	18	39-47	34
„კუზბასი“	38	11	13	14	30-38	34
„მეტალ.“	38	11	12	15	26-37	34
„დინამო“ ბ.	38	13	6	19	36-43	32
„ზარია“	38	11	8	19	43-52	30
„ყუბანი“	39	10	10	19	33-51	30
„ზვეზდა“	38	8	12	18	32-62	28
„კოლოსი“	38	9	7	22	28-56	25

გამარჯვება ცხრამეტ სვლაში

ორი ტურიდა რჩება ისლანდიის ქალაქ რეიკიავიკში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის“ გათამაშების მესამე ეტაპის დამთავრებამდე.

მე-15 ტურში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა დაამარცხა რა უნგრელი დიდოსტატი დიულა საქსი, დაეწია ლიდერს ალექსანდრე ბელიავსკის, რომელმაც თავის მხრივ ყაბით დაამთავრა პარტია ვიქტორ კორჩნოისთან შეხვედრაში. ახლა ორივეს 9,5-9,5 ქულა აქვს.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხეილ ტალმა 19 სვლაში სძლია ჰოლანდიელ დიდოსტატ იან ტიმანს. ეს ასეთი დონის მოჭადრაკეთა შეჯიბრებაზე არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან იან ელვესტი და მიხეილ ტალი. იოჰან ჰიარტარსონს (ისლანდია) 8,5 ქულა აქვს. არტურ იუსუპოვსა და ჯონ ნანს (ინგლისი) — 8-8.

23/X 204(9871

კვირიდან კვირამდე

„პრავდა“ — 17 ოქტომბერი. „ჩვენ გვაქვს „ჩვენი მე“, ამიტომაც გავიმარჯვეთ“. როგორ მიდიოდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები თავისი გამარჯვებისკენ. გვესაუბრებიან გუნდის მწვრთნელი, ექიმი, ფეხბურთელები.

19 ოქტომბერი. „ფეხბურთის ენაზე“. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ავსტრიელთა წინააღმდეგ ითამაშა ალექსანდრე ზავაროვმა. ინტერვიუ მკითხველთა თხოვნით.

„კომსომოლსკაია პრავდა“— 19 ოქტომბერი. „ხმა დაირხა...“ კიევში, ადგილობრივი „დინამოს“ თამაშებს სულ უფრო ხშირად ესწრებან იტალიელი სტუმრები.

19 ოქტომბერი. „გაბერილი ოქრო“. გამარჯვება ყველა ხერხით!.. ბოლო დროს ამ მიზნის მისაღწევად ძალზე ხშირად მიმართავენ დოპინგს.

„სოვეტსკი სპორტი“ — 19 ოქტომბერი. „რა არის პროფესიონალური საფეხბურთო კლუბი?“. წერილი იბეჭდება რუბრიკით „საკითხი, რომელიც ბევრს აინტერესებს“.

19 ოქტომბერი. „დიდი კატის ოქროს თევზაობა“. შტრიხები ოლიმპიური ჩემპიონის მიროსლავ მეჩირჟის პორტრეტისთვის.

20 ოქტომბერი. „რა არის ზღვარს მიღმა?“. მძლეოსნობა ყოველთვის იყო და ახლაც რჩება „სპორტის დედოფლად“. ინტერვიუ საკავშირო სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს უფროს ლევან სანაძესთან და ნაკრების მთავარ მწვრთნელ იგორ ტერ-ოვანესიანთან.

22 ოქტომბერი. „კაცი იყოს, თორემ მუხლი გამოინახება?“, ანუ იმის თაობაზე, თუ როგორ დაბრუნდა უდანაშაულო კაცი შინ მხოლოდ სამი წლის, ხუთი თვისა და თხუთმეტი დღის შემდეგ.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 42-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 16 ოქტომბერს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 1 583 390 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (38) მოგება 1979 მანეთია, ოთხისთვის (1757) — 40, სამისთვის (30669)— 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 16 105 844 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (18) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (5585) — 159, სამისთვის (192 173) — 7.

42-ე ტირაჟების მოგებები გაიცემა 31 ოქტომბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 42-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 15-16 ოქტომბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.113.088 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (16) მოგება 2.918 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (330) — 283 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (4.110) — 79 მანეთი.

შეჯამდა აგრეთვე ევროპის საფეხბურთო თასების გათამაშების ტურნირებზე მონაწილე გუნდების თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 5 ოქტომბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 989.700 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (65) მოგება 228 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.642) — 18 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (16.553) — 6 მანეთი.

42-ე ტირაჟისა და სპეციალური ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 5 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით.

საჭადრაკო კომპოზიცია

ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

უნივერსიტეტელები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უდიდესი როლი ქართული კულტურის განვითარებაში ჩვენი ისტორიის მეტად თვალსაჩინო და მარადიული ფურცლებია. მის აღზრდილთ ბევრი ღირსშესანიშნავი წვლილი შეუტანიათ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის სხვადასხვა სფეროში. საყოველთაოდ არის ცნობილი იმ კურსდამთავრებულთა სახელები, ვინც ღვაწლი დასდო მეცნიერების, მეურნეობის, ხელოვნების, სპორტის განვითარებას და დიდების შარავანდედით შემოსა მშობლიური უნივერსიტეტი.

მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ საეტიუდო კომპოზიციის საქვეყნოდ აღიარებული ქართული სკოლის ბირთვი 50-იან წლებში სწორედ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა. მაშინ მის კედლებში შეხვდნენ ერთმანეთს ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იოსებ კრიხელი და სტუდენტები: ფიზიკოსი ვლადიმერ კალანდაძე, ქიმიკოსი ელგუჯა კვეზერელი და გეოგრაფი ვაჟა ნეიძე, რომელთა თავდაპირველი გატაცება — ჭადრაკი საჭადრაკო კომპოზიციამდა კერძოდ, ეტიუდმა შეცვალა. ყანრის არჩევანში და გატაცებაში კი ალბათ „ბრალი მიუძღოდა“ ექიმ გია ნადარეიშვილს, რომელმაც იმ ხანებში ქართულ ენაზე გამოუშვა წიგნი „ეტიუდები“ და ამასთან, თავისი სპორტულ-შემოქმედებითი მიღწევებით ქართული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

უნივერსიტეტელთა ერთ-ერთ პირველ შემოქმედებით ანგარიშად იქცა 1956 წელს მოწყობილი საკუთარი კონკურსი კომპოზიციების შედგენაში, რომლის მოთავე იყო საუნივერსიტეტო გაზეთის მაშინდელი რედაქტორი, ჭადრაკის დიდი მოტრფიალე ირაკლი ვეშაპიძე. სპორტული და შემოქმედებითი თვალსაზრისით მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა უნივერსიტეტელი ეტიუდისტების პირველი გამოსვლებიც რესპუბლიკურ და საკავშირო კონკურსებზე.

3. კალანდაძე, 1956



ყაიმი

შავი პაიკის უვნებელყოფას ეტლის აქტიური ჩარევა სჭირდება. 1. ეh8+ მფg2 2. ეg8+ მფf2 3. ეf8+ მფe2 4. ეe8+ მფd2 5. ეd8+ მფc2 6. ეc8+ მფb1! მეფემ ბოლოს და ბოლოს თავი დააღწია ეტლის ქიშებს და შავი პაიკის ლაზიერად გაყვანა გარდაუვალია. მაგრამ თეთრებს გადარჩენის მახვილგონივრული შანსი უჩნდებათ. 7. ეc7! a1ლ+ 8. ეa7 და ირკვევა, რომ ლაზიერი საკუთარი მეფით არის დაბლოკირებული (აი, ეტლის თითქოს და უმიზნო ქიშების ნამდვილი მიზანი) 8. ...ლ:b2 9. ეb7 ყაიმი. სტუდენტი-კომპოზიტორის ამ ერთ-ერთმა პირველმა ქმნილებამ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ საკავშირო კონკურსზე I სპეციალური პრიზი დაიმსახურა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი საუკეთესო ხუთფიგურიანი („პაწია“) ეტიუდების კოლექციაში.

პირველი წარმატებების შემდეგ სამ ათეულზე მეტი წელი გავიდა. მაგრამ მათი ახალგაზრდული გატაცება საჭადრაკო პოეზიით არ გამქრალა. ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად იმატა ოსტატობამ და გამარჯვებათა ნუსხამ, მაგრამ თითოეული მათგანისათვის თბილად მოსაგონარი დარჩა შემოქმედებითი ბიოგრაფიის „საუნივერსიტეტო პერიოდი“.

შემდგომში უნივერსიტეტის აღზრდილთაგან ქართულ საჭადრაკო კომპოზიციას ახალი საიმედო ძალები შეემატა: პრობლემისტი — ქიმიკოსი გივი მოსიაშვილი, ეტიუდისტები — ფიზიკოსები ნიკო ფანჯაკიძე და მერაბ გოგბერაშვილი, რომელთა გამოსვლა ასპარეზზე მომავალი გამარჯვებების საწინდრად უნდა მივიჩნიოთ.

3. მოსიაშვილი, 1985

შამათი 2 სვლაში

ამ ორსვლიან მინიატურაში გამზადებულია წინასწარი თამაში: 1. ...მფa3 2. კc1× და 1. ...მფc3 2. კd4×, რომელიც ნამდვილ თამაშში განუხორციელებელი რჩება. ამოცანას ხსნის 1. მd2! რომლის შემდეგაც შავი მეფის ოთხვარიანტიან „ვარსკვლავისებურ“ თამაშს: 1. ...მფa3, მფc3, მფc1, მფa1 შემდეგი ახალი შამათები მოსდევს: 2. მc4, მa4, მ:d3, კd4×.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახლახანს თავისი დაარსების 70 წლისთავი იზეიმა. ამდენივე ხნისაა განთქმული დანიელი პრობლემისტის კლასიკური ხუთსვლიანი ამოცანაც, რომელიც თეთრი და შავი კუს საინტერესო ორთაბრძოლაზეა აგებული.

ნ. ჰეგი, 1918



შამათი 5 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ამოხსნა

„ლელოს“ 6 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი სამსვლიანი ამოცანა (ვ. რეზინკინი, 1976), რომელიც ამომხსნელთა XII მსოფლიო პირველობაზე იყო წარმოდგენილი, შემდეგნაირად იხსნება: 1. ლh1! ცუგცვანგი. 1. ...კe5 2. ლ:f1, 1. ...კd4 2. მ:d2+, 1. ...კc3 2. მp6+, 1. ..კb2 2. კd3+ ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: რ. ასათიანი, ა. ჩაფიჩაძე (ორივე— თერჯოლა), ვ. გვახარია, ლ. ხარატი, გ. ფანცხავა, ა. ამირიძე, დ. ლორთქიფანიძე (ყველა — თბილისი).

პროფესიული კალათბურთის უძლიერესი კლუბი

„ბოსტონ სელტიქსი“

„ბოსტონ სელტიქსი“ ნბა-ს ყველაზე უფრო ტიტულოვანი გუნდია. იგი 16-ჯერ იყო კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი (1957, 1959-66, 1968-69, 1974, 1976, 1981,1984, 1986). განსაკუთრებით შთამბეჭდავია 50-60-იანი წლები, როდესაც „ბოსტონ-სელტიქსი“ თერთმეტჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი. ძნელი საფიქრელია, რომ ეს რეკორდი უახლოეს ხანებში ვინმემ გაიმეოროს. წლეულს ამ გუნდის გამოსვლას წარუმატებლად მიიჩნევენ, რადგან ნბა-ს ჩემპიონატის ნახევარფინალში დამარცხდა „დეტროიტ პისტონსთან“. არადა, ამ ასპარეზობის ფინალი „უბოსტონ სელტიქსოდ“ ყოველთვის სენსაციად აღიქმება. საინტერესოა როგორ აფასებს თავისი გუნდის თამაშს მწვრთნელი კეის ჯონსი:

„არა მგონია 1986-87 წლის სეზონი როდისმე დავივიწყოთ. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი სეზონი ტრავმების გამო გამოგვაკლდა ბილ უოლტონი, სკოტ უოდენი და ლენ ბიაზი, ეს მაინც ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი იყო ჩვენთვის. მარცხის მიზეზი მხოლოდ უოლტონის და უედმენის დაშავება როდი გახლავთ, მთავარი ისაა, რომ მათ თითქმის სრული სასტარტო ხუთეული — ლარი ბერდი, კევინ მაკჰეილი, რობერტ პარიში, დენის ჯონსონი და დენი ეინჯი შეემატნენ. მიუხედავად ამისა, მატჩების სარეკორდო რაოდენობა მოვიგეთ —59, წავაგეთ 23. ვამაყობ იმ თავგანწირვით და საქმისადმი თავდადებით, რაც ჩვენმა მოთამაშეებმა ამ სეზონში გამოავლინეს“.

— რაც შეეხება მომავალ 1988-89 წლის სეზონს, — განაგრძობს ჯონსი, — ჩვენი სასტარტო ხუთეული იგივე დარჩება, რაც ბოლო 5-6 სეზონის განმავლობაში იყო. დენი ეინჯი, დენის ჯონსონი, ლარი ბერდი, კევინ მაკჰეილი, რობერტ პარიში. მათი მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა კომენტარს არ საჭიროებს.

„ბოსტონ სელტიქსში“ ყველაზე კოლორიტული ფიგურა, რა თქმა უნდა, ლარი ბერდია. ბოლო ხანებში გუნდის ყველაზე დიდი წარმატებები სწორედ ამ კალათბურთელის სახელთანაა დაკავშირებული. ლარი ბერდი დაიბადა 1956 წლის 7 დეკემბერს. თამაშობდა ინდიანას უნივერსიტეტის გუნდში. მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით ეს გუნდი გახდა აშშ-ს ჩემპიონი სტუდენტებს შორის. 1979 წელს ლარი ბერდი ჩაირიცხა „ბოსტონ სელტიქსში“. სხვათა შორის, შესარჩევ ციკლებში „დრაფტ ჩოისში“ მისი მთავარი კონკურენტი იყო ნიკოს გალისი. აი როგორ ახასიათებს ლარი ბერდს „ბოსტონ სელტიქსის“ მწვრთნელი კეისი ჯონსი: „ლარი ბერდმა ტიპიური სეზონი ჩაატარა ანუ ისე კარგად ითამაშა, როგორც ყოველთვის. ლარი ბერდს კარგად ვიცნობ და მჯერა მომავალ სეზონში კიდევ უფრო კარგად ითამაშებს, რადგან ადვილად ვერ ეგუება ჩემპიონობის დაკარგვას. იგი ყოველ თამაშზე ისე გამოდის როგორც თავის სპორტული კარიერის საუკეთესო მატჩზე“. კევინ მაკჰეილის, დენი ეინჯის, დენის ჯონსონის, რობერტ პარიშის, ბილ უოლტონის სახით, ლარი ბერდს ბრწყინვალე პარტნიორები ჰყავს.

„ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენი გუნდი ასაკოვანია, მაგრამ კარგი ღვინისა არ იყოს, რაც დრო გადის უკეთესები ვხდებით. ჩვენ არც მომავალში არ ვუღალატებთ ძლიერი გუნდური დაცვის ტაქტიკას, ზშირი „ჩაჭრებით“ და ელვისებური კონტრშეტევებით. ოსტატობის დახვეწას ძირითადად ამ მიმართულებით ვაპირებთ“.

მერაბ კალანდაძე,
ავთანდილ მაღრაძე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

აღმზრდელ-მასწავლებლებს იწვევს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი „მართვე“

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლასთან შექმნილი ბავშვთა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი „მართვე“ საბავშვო ბაღებში სამუშაოდ იწვევს ფიზიკური კულტურის სპეციალისტებს — უმაღლესი და საშუალო განათლებით, სსრ კავშირის სპორტის ოსტატებს და სპორტის ოსტატობის კანდიდატებს, რომლებიც ქ. თბილისში მუდმივად არიან ჩაწერილნი.

აღმზრდელ-მასწავლებლების შრომის ანაზღაურება მოხდება შრომითი ხელშეკრულებით და კოოპერატივში საქმიანობა ჩაითვლება შრომით სტაჟში.

მსურველებს პირობების გაგება შეუძლიათ ცენტრალურ რესპუბლიკურ სასპორტო სკოლაში ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა, 12 საათიდან 14 საათამდე. ტელ. 95-76-38, ოთახი 4, ნინოშვილის 57.

კოოპერატივ „მართვეს“ გამგეობა.

„სპორტპროგნოზი“, 44-ე ტირაჟის პროგრამა (29-31 ოქტომბერი) — **პროგნოზი**

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში, ვაჟები (უმაღლესი ლიგა)				
1. „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) მეორე თამაში	29.X	70	10	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში, ქალები (უმაღლესი ლიგა)				
2. „გორიზონტი“ (მინსკი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) პირველი თამაში		30	10	60
3. „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „დინამო“ (მოსკოვი) პირველი თამაში	29.X	40	10	50
4. „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) პირველი თამაში	29.X	80	10	10
5. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ადისი“ (ბაკოვიანი) პირველი თამაში	29.X	80	10	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
6. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)	31.X	30	40	30
7. „დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	31.X	20	30	50
8. „ყალგირისი“ (ვილნიუსი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	31.X	80	10	10
9. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „შახტორი“ (დონეცკი)	31.X	50	40	10
10. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	31.X	40	30	30
11. „დინამო“ (თბილისი) — „კაირატი“ (ალმა-ათა)	31.X	80	10	10
12. „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (კიევი)	31.X	20	30	50
13. „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	31.X	20	50	30

შენიშვნა: კალათბურთში მზედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10899